საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანებაN01-08/27

ქ. ბათუმი 12 ივლისი 2012 წ.

რსუ–ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესიების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 22 იანვრის №05 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №33 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ–ს ზეპირი და წერითი სახის გამოცდების ჩატარების დებულების, რსუ-ს რექტორის 2012 წლის 07 ივნისის №01-08/21 ბრძანებისა და რსუ-ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრის უფროსის, ივდით დიასამიძის 2012 წლის 09 ივლისის №2267 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. რსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესიები ჩატარდეს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში 2012 წლის 16 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით პერიოდში **დანართი 1**–ის შესაბამისად;
2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით დაინიშნონ მეთვალყურეები და პასუხისმგებელი პირები **დანართი 2, 3**-ის შესაბამისად;
3. საგამოცდო პროცესში მონაწილე პერსონალმა იხელმძღვანელოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრის დებულებითა და „რსუ–ს ზეპირი და წერითი სახის გამოცდების ჩატარების დებულებით.
4. ინფორმაცია (განრიგი) ტესტური გამოცდების ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს რსუ–ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტებისა და კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, საჯარო გამოცხადების მიზნით;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე **ირაკლი ბარამიძე**